პროექტი

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება

დ. ჩოხატაური

„ჩოხატაურის მუნიციპლიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 4 თებერვლის №9 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ე“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტების, ,,საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის, მე-19 მუხლისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1.

„ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 4 თებერვლის №9 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge; 09/02/2015, სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდი: 190040000.35.114.016250) შეტანილ იქნეს ცვლილებები:

1. დადგენილების პირველი დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

2. დადგენილების მე-2 დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

მუხლი 2.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.